განკარგულება:**გ-63. 6323275001**
თარიღი:**02/10/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად , განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 ოქტომბრის სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის გ-63.632235521 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მ.უღრელიძე/

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების შერწყმისთვის (გაერთიანებისთვის), სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

3. ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“, შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.
/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

4. საკრებულოს წევრის, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის, ანგარიში 2023 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე გაწეული

მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, ანგარიში, 2023 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე, გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

6. **სხვადასხვა.**

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი